



# საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



ქალაქი ფოთი

№ 04/48

15 / იანვარი / 2020 წ.



KA000046513389320

## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიისა და სატენდერო კომისიის აპარატის შექმნის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 48-ე მუხლის პირველი პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1<sup>1</sup> და მე-6 პუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. შეიქმნას ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. მამუკა პაპასკირი - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);
2. პაატა ლაგვილავა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. ვასილ თოდუა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი);
4. ნანა ჭანტურია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი);
5. გურამ ადამია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის უფროსი, საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი);
6. ნონა სილაგავა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი (კომისიის წევრი);
7. მაია მაკალათია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი, საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი);

მუხლი 2. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოვალეობა დაეკისროს, კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს პაატა ლაგვილავას.

მუხლი 3. შეიქმნას ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის აპარატი შემდეგი შემადგენლობით:


1. მაია სულავა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი, საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის წევრი);
2. ნანა გიგინეიშვილი - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე, საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (აპარატის წევრი).
3. ამირან კაკულია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის შესყიდვების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (აპარატის წევრი).
4. ინგა გიგინეიშვილი - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის წევრი);

მუხლი 4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 27 ივნისის N04/805 ბრძანება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიისა და სატენდერო კომისიის აპარატის შექმნის შესახებ“.

მუხლი 5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).

მუხლი 6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ელექტრონულად 

გონა კურდღელია